საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030604798490419

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/497 **08 / თებერვალი / 2019 წ.**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბოტონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) (შემდგომში „გლობალური ფონდი“) მიერ გამოყოფილის გრანტის (გრანტი GEO-H-NCDC) ფარგლებში დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის განმახორციელებელს. საგრანტო პროგრამა უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების პრევენციას მაღალი რისკის ჯგუფებში (მათ შორის ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში) და მკურნალობაზე მყოფი აივ ინფექცია/შიდსით დაავადებული პირებისთვის მედიკამენტების ხელმისაწვდომობას, დაკარგული პაციენტების მოძიების ღონისძიებებს მკურნალობის გაგრძელების უზრუნველყოფის მიზნით.

დონორის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად გლობალური ფონდის მიერ გამოიყო ფინანსური რესურსი, მოძველებული (არსებული ავტომობილების უმეტესობა შესყიდულია 10 წლის წინ, რომლებიც ასევე შესყიდულია გლობალური ფონდის დაფინანსებით) ავტოპარკის განახლების და შესაბამისად 16 ახალი ავტომობილების შესაძენად. ავტომობილები იმდენად ამორტიზებულია, რომ მათი უმეტესობა ვერ გადის სავალდებულო ტექნიკურ დათვალიერებას.

ხსენებული ავტომობილების შესყიდვის მიზნით 2018 წელს 29 ნოემბერს con@spa.gov.ge-ზე გამოვაგზავნეთ შეტყობინება შესყიდვის პროცედურის შეთანხმების შესახებ. რაზედაც 13 დეკემბერს მივიღეთ პასუხი, რომ 2019 წლის საჭიროებების დაკმაყოფლების მიზნით მითითებული კლასიფიკატორის კოდზე (CPV კოდი - 34113100) იგეგმება კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადება.

წერილში ავღნიშნავდით, რომ გლობალური ფონდის მიერ გამოყოფილის გრანტის (გრანტი GEO-H-NCDC) მოქმედების ვადა იწურება 2019 წლის 1 ივლისს, რა პერიოდშიც უნდა დარულდეს საქონლის მიღება და შეწყდეს ყველა სახის ფინანსური ოპერაცია, ხოლო აუთვისებელი თანხა ბრუნდება დონორის ანგარიშზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ ასევე გაცნობეთ 2018 წლის 3 დეკემბრის №06/4884 წერილით.

აღნიშნული საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ოპერატიულად დაიგეგმა შეხვედრა, რისთვისაც ვსარგებლობთ შემთხვევით და გიხდით მადლობას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველვე ზემოხსენებული, რათა მოხერხდეს დონორის მიერ გამოყოფილი მიზნობრივი სახსრების ათვისება.

პატივისცემით,